

ლადო პაპავა: რუსეთის აგრესია რომ არა, ლარის სტაბილურ კურსს ვერ შევინარჩუნებდით

გაზეთი “სავალ-დასავალი” – 14-20 დეკემბერი, № 50, 2009

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამ რამოდენიმე წელს წინ სიხარულით გვამცნო ქვეყანაში ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დასრულების შესახებ. დასრულდა თუ არა საქართველოში კრიზისი? – ამ შეკითხვით მივმართეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას.

ლადო პაპავა: – კრიზისის თემასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2008 წლიდან მოყოლებული, არაერთი ურთიერთგამომრიცხავი განცხადება გაკეთდა. თავდაპირველად, მთავრობა ამბობდა, რომ საქართველოში არანაირი კრიზისი არ არის და მსოფლიო გლობალურმა კრიზისმაც გვერდზე ჩაგვიქროლა. შემდეგ ზაფხულში პრემიერ-მინისტრმა მდელოზე შეკრიბა თავისი კაბინეტის წევრები, ბიზნესის რამოდენიმე წარმომადგენელი და ანტიკრიზისული ღონისძიებების პრეზენტაცია მოაწყო. თუ ქვეყანაში კრიზისი არ იყო, ანტიკრიზისული ღონისძიებები რისთვის იყო საჭირო? ივლისის ბოლოს, პარლამენტმა დაამტკიცა 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, რითაც საგადასახადო შემოსავლების გეგმა ნახევარი მიღიარდი ლარით იქნა შემცირებული. ესეც ასესნილი იყო კრიზისით.

არცერთ ამ შემთხვევაში საქართველოს მთავრობის მხრიდან არ ყოფილა საუბარი კრიზისის ეროვნულ ფესვებზე. მთავრობას არ განუმარტია, გლობალური კრიზისი რომ არ ყოფილიყო, საქართველოში მაინც იქნებოდა თუ არა კრიზისი? უკვე გვიან შემოდგომაზე პრემიერ-მინისტრმა, ფინანსთა მინისტრმა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რიგრიგობით გააკეთეს განცხადება, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისი დასრულებულია. მე მაქვს ძალიან ბუნებრივი შეკითხვა: თუ, როგორც ხელისუფლება გვიმტკიცებდა, საქართველოში მხოლოდ გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა იყო და მას არ ჰქონია ეროვნული

წარმომავლობა, როგორ დასრულდებოდა თბილისში ის, რაც მთელს მსოფლიოში არ დასრულებულა? ერთი ანეგდოტი მახსენდება, მარქსმა კი თქვა, პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერდითო, მაგრამ ის კი არ უთქვამს, რომ მაინცდამაინც თბილისში შეერთდითო. რადა მაინცდამაინც თბილისში დასრულდა გლობალური კრიზისი?

— თქვენ ამტკიცებთ, რომ საქართველოში გრძელდება ეკონომიკური კრიზისი და მას აქვს ქართული ფესვები?

— დიახ, ამ კრიზისს აქვს ეროვნული წარმომავლობა. 2004 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში შემოდიოდა დიდძალი თდენობით ფინანსური რესურსი, ძირითადად, პრივატიზაციის გზით. არადა, თუ ეს ფული მხოლოდ საკუთრების უფლების გადაფორმებაში იდება და არ შემოდის ახალი ტექნოლოგიები, არ ისხება ახალი საწარმოები, მაშინ ეს ფული უფრო უარყოფითი ეფექტის მატარებელია: იქმნება დისბალანსი ფინანსური რესურსის ზრდის ტემპსა და ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპებს შორის.

კრიზისის მეორე საფუძველი იყო სამშენებლო სექტორში ჩადებული ფული. აღარაფერს ვამბობ იმ უხარისხო მშენებლობებზე, რომლითაც თბილისი დაამახინჯა არაერთმა სამშენებლო კომპანიამ. აქ საუბარი სხვა რამეზეა. ბანკები აძლევდნენ სესხებს, როგორც სამშენებლო კომპანიებს, ასევე კერძო პირებს და ეს სესხები ხმარდებოდა პაერის შეძენას, იყიდებოდა მშენებარე სახლის მაგალითად მე-12 სართული, მაშინ როცა საძირკველიც არ იყო გათხრილი. შეიქმნა ფინანსური პირამიდები, რაც იყო კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენთან საკრედიტო რესურსის ძირითადი წერტილი იყო არა დაგროვება, არამედ ევროპული ფინანსური ბაზებიდან საკრედიტო რესურსის მოზიდვა. ანუ, ჩვენი ბანკები იღებდნენ სესხებს ევროპული ბანკებიდან და უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთში აძლევდნენ მას ჩვენს მოქალაქეებს. ამ საკრედიტო რესურსს ჩვენი ბანკები განათავსებდნენ ძირითადად ორ სექტორში. ერთია მშენებლობა, სადაც შეიქმნა ფინანსური პირამიდები და მეორე, ეს გახლდათ სამომხმარებლო სექტორი. ჩვენი ბანკები აკრედიტებდნენ ტელევიზორების, მაცივრების, მობილურების განვადებით შესყიდვას. არც მობილური, არც ტელევიზორი, არც მაცივარი საქართველოში არ იწარმოება, ანუ, პრაქტიკულად, ბანკები საკრედიტო რესურსით აკრედიტებდნენ იმპორტს.

— რუსეთ-საქართველოს ომი არ არის კრიზისის მიზეზი?

– ომი, რა თქმა უნდა, უარყოფითი მოვლენაა, რადგან ქვეყანა იღებს არა მხოლოდ ნგრევას, არამედ დიდი ეკონომიკურ დარტყმას, პორჯომის ხეობაში მიყენებული ზარალი ჯერ კიდევ არ გვაქვს კარგად გაცნობიერებული, მაგრამ ამ თმა ჩვენ უარყოფითის გარდა პოზიტივიც მოგვცა, რასაც მე “ომის პარადოქსი” ვეძახი. რუსეთის აგრესია რომ არა, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, როცა თავისუფალი ფინანსური რესურსი ძალიან მცირება და ძალიან ძვირი დირს, საქართველოს დახმარებას არავინ გაუწევდა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ იმ 4,5 მილიარდიანი დახმარებიდან, რომელიც ჩვენს ქვეყანას, როგორც დაზარალებულს გამოეყო, 2 მილიარდი არის გრანტი, ანუ საჩუქარი. ეს 4,5 მილიარდი რომ არა, ჩვენ კრიზისს კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძნობდით.

– კონკრეტულად რაში დაგვეხმარა ეს 4,5 მილიარდიანი დახმარება? ხალხს უკვირს, რომ ამდენი დახმარებები შემოდის და მოსახლეობის ჯიბულზე ეს არ აისახება...

– მოგახსენებთ. მე არაერთხელ მითქვამს, თუ როგორ აყალბებს ინფორმაციას სტატისტიკის დეპარტამენტი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. ამ გაყალბების მიუხედავად, სტატისტიკის დეპარტამენტის 6 თვის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოლიანი შიდა პროდუქტის 10 პროცენტი მეტი ვარდნაა. 10 პროცენტიან ვარდნას ჩვენ ვიგრძნობდით ძალიან მძიმედ, ეს დახმარება რომ არ იყოს. ამასთან, წარმოიდგინეთ, ბიუჯეტი შემცირდა ნახევარი მილიარდით საგადასახადო შემოსავლების კუთხით, თუმცა, საერთო ჯამში ბიუჯეტი მაინც გაიზარდა 800 მილიონით. საიდან? ამ 800 მილიონიდან 260 მილიონი არის სახაზინო ვალდებულებების ემისია. 540 მილიონი კი არის დახმარება. ეს დახმარება რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა, არ ვიცი. თანაც ამ 4,5 მილიარდში არ შედის საერთაშორის სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დახმარება, რაც 1 მილიარდ 100 მილიონი დოლარია. სწორედ ამით არის შენარჩუნებული ლარის გავლითი კურსის სტაბილურობა. 4,5 მილიარდიდან გადაიხადეს ბანკებმა ის ვალები, რომელიც ევროპული ბანკებისთვის უნდა გადაეხადათ 2009 წლის აპრილში. ეს დახმარება რომ არა, ჩვენი ბანკები გაკოტრდებოდნენ. ჩვენმა ბანკებმა აიშორეს საბანკო კრიზისი, მაგრამ ეს მათი სწორი მენეჯმენტის დამსახურება კი არ არის, არამედ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, რუსეთის აგრესიის “დამსახურება”.

ასეა თუ ისე, რამდენიც არ უნდა იძახოს მთავრობამ, რომ კრიზისი არ არისო, ფაქტი ფაქტად რჩება – 2009 წელი საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში შევა, როგორც ეკონომიკური კრიზისის წელი, რომელიც 2009 წელს ვერ დასრულდა.

– 2010 წლის ბიუჯეტი პარლამენტმა უკვე დაამტკიცა. როგორ შეაფასებთ მას?

– ბიუჯეტში გაზრდილია საგადასახადო პარამეტრები. მე გამიხარდება, ეს ბიუჯეტი ვერ შესრულდეს იმ კუთხით, რომ საგადასახადო შემოსავლებმა გადააჭარბოს დაგეგმილ მაჩვენებელს, რაც მუდმივად ხდებოდა აქამდე, მაგრამ ახლა ვეჭვობ, რომ შეიძლება სხვა ტენდენციები განვითარდეს. მსოფლიოში გლობალური კრიზისი არ დასრულებულა და არც საქართველოშია კრიზისი დასრულებული. ამის ფონზე, ვშიშობ, რომ ეს ბიუჯეტი მეტად თანმიმდევრია.

– ბატონო ლადო, საით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური განვითარების იმ გზას, რომელიც ხელისუფლებას აქვს არჩეული?

– ისევ და ისევ გამოვიყენებ ჩვენი პრეზიდენტისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ლიდერების განცხადებებს, რომ საქართველო მიღის სინგაპურის გზით. საქართველოსთვის, თურმე, იდეალური ყოფილა სინგაპურის მოდელი. ახლა ვთქვათ, რა არის სინგაპურის მოდელი? ეს არის ეკონომიკის განვითარების მაღალი დონე ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ანუ, თავად მთავრობა არ უარყოფს, რომ საქართველოში ავტორიტარული რეჟიმია სასურველი.

ამავდროულად, სინგაპური არა მარტო გეოგრაფიულად არის დაშორებული ევროკავშირს, არამედ, მენტალურად და ფასეულობათა სისტემითაც. ის არაევროპული სახელმწიფოა და როცა ჩვენი ლიდერები გვეუბნებიან, რომ სინგაპურის გზით უნდა წავიდნენ, ქვეყანას უბიძებენ არაევროპული გზით განვითარებისაკენ. არ ვიცი, სინგაპურამდე “ჩავალთ” თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ სინგაპურის გზით განვითარება ქვეყანას უქადის რუსეთის კონტროლქვეშ დარჩენას.

თუ გვინდა, რომ საქართველო ევროპული ქვეყანა იყოს, ჩვენ უნდა ვიყოთ იმ ფასეულობების მატარებელი, რომელიც დამახასიათებელია ევროპისთვის და იმ ტიპის ეკონომიკა უნდა გვქონდეს, რომელიც არის ევროპაში. ჩვენ კი ამ მოდელს მხოლოდ და მხოლოდ ვშორდებით, მათ შორის, ისეთი პოპულისტური საზიანო აქტით, როგორიც არის პრეზიდენტის მიერ პარლამენტში შეტანილი

კონსტიტუციაში ცვლილებების პროექტი. ამასთან ერთად ვგულისხმობ იმ ორგანული კანონის პროექტს, რომელსაც ჰქვია კანონპროექტი „ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებელობებისა და ღირსების შესახებ.“ იქნებ ვინმემ ამისსნას, რას ნიშნავს „ეკონომიკური ღირსება“? ეს წმინდა ტერმინოლოგიური პაროდიაა და ეს არის მავნე პოპულიზმის კლასიკური გამოხატულება. აი, კიდევ ამითაც შევა 2009 წელი ისტორაში, რომ კრიზისთან ერთად ჩვენ გვქონდა ტოპ-პოპულიზმიც.

ესაუბრა თეა ასათიანი